ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №40

22.03.2024 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
10:30 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
5. ნინო წულაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03240511-03; 20.02.2024);

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032406062-03; 29.02.2024);

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03240711-03; 11.03.2024);

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A” კატეგორიის მსუბუქი

ავტომობილის - ტაქსის (M1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032408045-03; 20.03.2024);

5. ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032408046-03; 20.03.2024);

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" 23-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი:

- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს" უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03240511-03; 20.02.2024):

ვ.აბულაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ზ/ა დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ვ)ავტობუსის გაჩერებისთვის ან სპეციალური დაცული სადგომისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა;“.

დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომრავლებასთან ერთად, ასევე, იმატებს ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევები, რომლის დროსაც, სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას. აღნიშნული კი წარმოქმნის საჭიროებას, გაიზარდოს სატრანსპორტო საშუალებების დგომისათვის განკუთვნილი სადგომების რაოდენობა, სადაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაყვანას დაქვემდებარებული, დარღვევით მდგომი სატრანსპორტო საშუალების განთავსება განხორციელდება და აღნიშნული ადგილი დაცული იქნება გარეშე პირებისგან.

გარდა ამისა, იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან დროულად და ეფექტურად მოხდეს სპეციალურ დაცულ სადგომზე სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანა და მათი უსაფრთხო განთავსება, აუცილებელია, ასეთი სადგომების არსებობა დედაქალაქის ისეთ ადგილებში, რომლებიც მისადგომად მარტივია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03240511-03; 20.02.2024) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032406062-03; 29.02.2024):

3. **აბულაძემ** განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით, დადგენილებაში შედის ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, შპს „თბილისი ენერჯი“, სს „თელასი“ და ამ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამისი სამუშაოს ჩატარებაზე პასუხისმგებელი სხვა პირები თავისუფლდებიან ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით დაწესებული საფასურის გადახდისგან. აღნიშნული გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: ზ/ა მეწარმე სუბიექტები

მოწოდებულნი არიან უწყვეტად უზრუნველყონ დედაქალაქის მოსახლეობა: შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ - წყლით, შპს „თბილისი ენერჯიმ“ - გაზით, სს „თელასმა“ - ელექტროენერგიით. ამასთან, ეს მეწარმე სუბიექტები დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში უზრუნველყოფენ ოპერატიული სამუშაოების ჩატარებას, რომელთა წარმოებაც განპირობებულია ავარიით ან/და გადაუდებელი აუცილებლობით და ეს შემთხვევები, არსებული რეალობის გათვალისწინებით, არც თუ მცირეა, ამავე დროს ისინი მოქმედებენ დადგენილი ტარიფებისა და ვადების ფარგლებში, რის გამოც, შეუძლებელია მათ მიერ სამუშაოების ამჟამად მოქმედი დაჩქარებული მომსახურების ვადების და საფასურის გათვალისწინებით განხორციელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032406062-03; 29.02.2024) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03240711-03; 11.03.2024):

3. **აბულაძემ** ისაუბრა დადგენილებაში შესატან ცვლილებებზე და აღნიშნა, რომ დადგენილებით გათვალისწინებული შეზღუდვები არ გავრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე. ხოლო ახალი „ა.თ[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, შეზღუდვები არ გავრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების მონაწილე მხარის სატრანსპორტო საშუალებებზე, შემსყიდველი ორგანიზაციის ინიციატივით საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე ღონისძიების შემჭიდროვებულ ვადებში ჩასატარებლად, შესაბამისი ვადით.

დადგენილება ამოქმედდება 2024 წლის პირველი აპრილიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03240711-03; 11.03.2024) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032408045-03; 20.03.2024):

ვ. აბულაძემ ვრცლად ისაუბრა წარმოდგენილ დადგენილებაზე და განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ სატრანსპორტო საშუალების სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მოძრაობის მიზნობრიობა არ შეესაბამება ამ წესის მე-2 მუხლის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანა). ასეთ შემთხვევაში „A" კატეგორიის ნებართვიდან სატრანსპორტო საშუალება იხსნება ფაქტის გამოვლენიდან ერთი წლის ვადით. ამასთან, ამ პერიოდში, დაუშვებელია ამავე სატრანსპორტო საშუალების დამატება ნებისმიერ სხვა „A" კატეგორიის ნებართვაზე, მიუხედავად სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ცვლილებისა.

მისივე განმარტებით, პროექტი ასევე ითვალისწინებს ნებართვის მფლობელის მიერ შეცდომით ჩარიცხული თანხების დაბრუნებას იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მფლობელს არ უფიქსირდება ნებართვის გაცემის ფასის როგორც წინა თვის, ისე მიმდინარე დავალიანება. ამასთან ნებართვის მფლობელის მოთხოვნით „A" კატეგორიის ნებართვის გაუქმებისას, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, დაბრუნებას ექვემდებარება მომხმარებლის პირად სივრცეში არსებული თანხა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032408045-03; 20.03.2024) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5.,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032408046-03; 20.03.2024):

3. აბულაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიხედვით, მოქალაქეებს, რომელთაც 2023 წლის 1 ივლისიდან გამოწერილი აქვთ ელექტრონული საჯარიმო ქვითრები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის და გადახდილი აქვს ჯარიმა შესაბამის სახაზინო კოდზე, სადაც ფიქსირდება მხოლოდ სახელი, გვარი, პირადი ნომერი და არ ფიქსირდება საჯარიმო ქვითრის ნომერი, ჯარიმა ჩაეთვლებათ გადახდილად და მათი მონაცემები აღარ გადაეცემა აღსრულების ეროვნულ ბიუროს შემდგომი რეაგირებისთვის.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შემუშავება შემდეგი მიზეზით გახდა აუცილებელი:

ბოლო პერიოდში, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკისრებული თანხა ან/და საურავი საბანკო დაწესებულების ან ელექტრონული გადახდის საშუალების მეშვეობით გადახდილია ისე, რომ მითითებული არ არის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, თუმცა სწორად არის მითითებული სახაზინო კოდის ნომერი და სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი).

იმის გათვალისწინებით, რომ გადახდისას არ იყო მითითებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრების ნომრები, ვერ აისახა გადახდები და ადმინისტრაციული სამართალდამრღვევების

საქმეებზე გამოიცა საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებები, ხოლო საქმეები აღსასრულებლად გადაეგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს შორის შედგა კომუნიკაცია ზემოაღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032408046-03; 20.03.2024) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" 23-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ.

შ. ოგბაიძემ თბილისის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ წარმოადგინა ინფორმაცია და ამ პოზიციაზე კომისიის წევრის მარიამ ზაქარიაშვილის კანდიდატურა წარადგინა.

კომისიის წევრებმა ერთხმად გამოხატეს თანხმობა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე